# ჩვენი ცხოვრება

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი

შაბათი

24 თებერვალი

1907 წ.

წელიწადი I.

№ 6 ყოველ დღიური გაზეთი. № 6

მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე:

## ჩვენ ცხოვრებაზე

აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირებ:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ | 5 მ. | წლიურათ | 6 მ. |
| ექვსი თვით | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба". რედაქცია—ელისბედის ქ. № 88.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „საქმე"-ში. მიხეილის ქ. № 40.


## ლიბერალური ბურჟუაზია რუსეთის რევოლიუციაში

რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულია. ეს იმასა ნიშნავს, რომ ამ რევოლიუციას არა აქვს მიზნად კაპიტალიზმის დანგრევა და სოციალიზმის დამყარება,— მას მხოლოთ ფეოდალურ ნაშთების დანგრევა აქვს სახეში ხალხური მმართველობის დასამყარებლათ კლასთა შეჯახების გასაღრმავებლად.

დიახ, ამ მხრივ რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულია.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, ვითომ, ლიბერალური ბურჟუაზია რევოლიუციონურია, რომ ის, ვითომ, სულს უდგამს რევოლიუციას და წინ ამოძრავებს მას. სულაც არა! ჯერ ფრთები არც კი გაეშალა რუსეთის რევოლიუციას, ჯერ კიდევ „ცხრა იანვრის" ფარგლებში ტრიალებდა ის,—რომ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, პეტრუნკევიჩისა და ტრუბეცკოის პირით, მოლაპარაკება გამართა რეაქციასთან წინაამდეგ რევოლიუციისა. ცოტა ხნის მერე, „ოქტომბრის დღეებში", როცა რევოლიუციამ ფრთა გაშალა და უკეთეს მომავლისკენ გასწია,—ლიბერალურმა ბურჟუაზიამ უფრო მაგრა იბრუნა გვერდი რეაქციისკენ და, სტრუვე-მილიუკოვების პირით, პირდაპირ გამოაცხადა: ჩვენ არ გვინდა ფრანგული გზით სიარული, ჩვენ გერმანული გზა გვინდა მისი გვირგვინოსნებითო. ბ-ნი პეტრუნკევიჩები კი სრულიად ახორციელებდნენ სტრუვე-მილიუკოვების ნათქვამს და პორტფელებს ითხოვდნენ რეაქციისაგან. შემდეგ, „დეკემბრის" მერე, როცა რევოლიუციამ „უკანასკნელი" ლონე მოიკრიბა მოპოებულ პოზიციის დასაცავად— კადეტებმა, ლიბერალებმა უფრო ცხადლივ უღალატეს რევოლიუციას, მათ „უქკუო სტიქიათ" გამოაცხადეს რევოლიუცია, მათ გამართლებულად დასტოვეს პროლეტარიატი ბრძოლის ველზე, მათ უარჰყვეს დამფუძნებელი კრების ლოზუნგი, მათ ფეხქვეშ გასთელეს გლეხების მიერ მიწების კონფისკაცია, და ყველა ამით რეაქციას აცნობეს, რომ ისინი მასთან უფრო ახლო დგანან ვიდრე ხალხთან. დაბოლოს, დღევანდელი განცხადებანი ბ. ლიბერალებისა, რომლითაც ისინი კავშირს ეძებენ რეაქციასთან წინააღმდეგ რევოლიუციისა, მათი ფარული მოლაპარაკება სტოლიპინთან, მათი დაახლოვება ოქტომბრისტებთან,— ყველა ეს პირდაპირ ნათელჰყოფს, რომ რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია, არა თუ არ არის რევოლიუციონური, არა თუ არ ამოძრავებს რევოლიუციას, არამედ ომს უცხადებს და ებრძვის მას, როგორც „დამღუპავ" მოვლენას.

ეს, რა თქმა უნდი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, ვითომ, რუსეთის ლიბ. ბურჟუაზია დაბადებით იყოს ანტირევოლიუციონური. სულაც არა! ლიბერალური ბურჟუაზია საფრანგეთშიაც იყო, მაგრამ რევოლიუციონურ როლს ეწეოდა დიდ რევოლიუციის პირველ ხანებში, მაშინ, როდესაც ჩვენი ბურჟუაზია აშკარათ ანტირევოლიუციონერობს!

მერე რატომ ხდება ასე, რა „ცოდვა" მართა" რუსეთის ბურჟუაზიას?

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ბურჟუაზიის და საფრანგეთის ბურჟუაზიის მდგომარეობა ძალიან გაირჩევა ერთი მეორისაგან. საფრანგეთში ლიბერალური ბურჟუაზია იმიტომ რევოლიუციონერობდა, რომ პროლეტარიატს ეძინა, ის დაურაზმავი იყო და, მაშასადამე, ბურჟუაზიას არ ესაჭიროებოდა რეაქციასთან კავშირი პროლეტარიატის ასალაგმავად. ეს, რა თქმა უნდა, რევოლიუციის პირველ ხანებში. ჩვენში კი სულ სხვანაირადაა საქმე. აქ პროლეტარიატი გაცილებით უფრო შეგნებულია და დარაზმული, ვიდრე მე-XVIII საუკუნის რევოლიუციონურ საფრანგეთში. ამიტომ არის, რომ პროლეტარიატისგან დაშფთხალი რუსეთის ბურჟუაზია რეაქციის კალთას აფარებს თავს და მასთან ეძებს კავშირს წინააღმდეგ პროლეტარიატისა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია რევოლიუციას უფრო ებრძვის, ვიდრე რეაქციას. ამიტომ არის, რომ მათ და მათს დამცველ კადეტებს ანტი-რევოლიუციონერებს ეძახიან.

საერთოდ, ჩვენ თამამათ შეგვიძლიან აღვნიშნოთ, როგორც საერთო მოვლენა, რომ: რაც უფრო შეუგნებელია პროლეტარიატი, ბურჟუაზიულ რევოლიუციის დროს,—მით უფრო რევოლიუციონურია ლიბერალური ბურჟუაზია, და, პირიქით, რაც უფრო შეგნებულია პროლეტარიატი,—მით უფრო ანტი-რევოლიუციონურია ბურჟუაზია.

ტყუილათ კი არ ამბობს კ. კაუცკი თავის წიგნში:

„ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანამ, ე. ი. ისეთი რევოლიუციების, სადაც მამოძრავებელ ძალად ბურჟუაზია იყო, დიდი ხანია გაიარა. გაიარა აგრეთვე რუსეთისთვისაც. აქ უკვე ბურჟუაზიის უბრალო მაჩანჩალა და იარაღი აღარაა პროლეტარიატი, ის დამოუკიდებელი კლასია, დამოუკიდებელ რევოლიუციონურ მიზნებით შეიარაღებული. მაგრამ სადაც პროლეტარიატი ამნაირათ გამოდის, **იქ ბურჟუაზია თავს ანებებს რევოლიუციონერობას**. რუსეთის ბურჟუაზიას... ეჯავრება აბსოლიუტიზმი, მაგრამ **უფრო ძალიან ეჯავრება** რევოლიუცია... ამგვარათ რუსეთის ბურჟუაზია არ წარმოადგენს თანამედროვე რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას". (იხ. Движ. силы", 29 გვ.).

ამიტომ არის, რომ მეორმოცე წლების ბოლოში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა გერმანიის პროლეტარიატი ისევ ფხიზლდებოდა და ბურჟუაზია კი ჯერ სავსებით არ გადახრილიყო რეაქციისკენ,— კ. მარქსი ასე სწერდა:

„პრუსიის ბურჟუაზია არ წარმოადგენდა ისეთ კლასს, როგორიც საფრანგეთის ბურჟუაზია იყო 1789 წელში, რომ ის არ იცავდა თანამედროვე საზოგადოების ინტერესებს... კაროლისა და აზნაურობის წინააღმდეგ. ბურჟუაზია ისეთ წოდებად გადიქცა, მან ისეთი პოზიცია დაიჭირა, საიდანაც ის კაროლსაც ებრძოდა და ხალხსაც... ეს ისეთი წოდება იყო, რომელიც **თაობითვე მზათ იყო უღალატნა ხალხისთვის** და შერიგებოდა ძველ წესების გვირგვინოსან წარმომადგენლებს" (იხ. „Итоги 48-го года" 13 გვ.).

რაღა უნდა ვთქვათ ამის შემდეგ რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიაზე, რომელიც კაი ხანია „განეშორა" პროლეტარიატს და, მის რევოლიუციონერობისგან დაშფთხალი, უკვე შეეფარა რეაქციას. უკვე ურიგდება რეაქციას!? რაღა უნდა ვთქვათ კადეტებზე, რომლებიც ამ ბურჟუაზიის დამცველები არიან!?

შეიძლება ამისთანა ხალხთან პროლეტარიატის შეთანხმება? შეიძლება ამისთანა ხალხს მხარი დაუჭიროს პროლეტარიატმა, როცა ისინი ძირს უთხრიან რევოლიუციას და მის ბელადს, პროლეტარიატს?

---

## სახელმწიფო სათათბირო

**მოწამლული სიხარული**. კადეტების სიხარული სათათბიროს პირველ ნაბიჯის შესახებ ნ. ძალადევი დგება: ისინი მშვიდობის სადღეგრძელოებს იძახიან, ქუჩა კი ულმობელს და შეურიგებელ ბრძოლას მოითხოვს: პატარა დეპეშა, რომელიც სომხურ გაზეთს „ქამანაკს" მიუღია გვატყობინებს, რომ სათათბიროს გახსნის დღეს სახალხო მიტინგები გაიმართა, სადაც გაისმოდა რევოლიუციონური სიტყვები, სადაც არა ნაკლებ რევოლიუციონურმა კაზაკის ნაგაიკამაც გაიზუზუნა. მაშ, დეე, გაისმას რევოლიუციონური ძახილი „მიწა და თავისუფლება," დეე, კაზაკის მათრახმაც იზუზუნოს და დეე, დუმაშიც კადეტებმა დედაბრულათ იჩიფჩიფონ ხალხის უზენაეს მთავრობასთან შეთანხმებაზე, დალობლონ მოწყალებით გამოწოდებული ხელი, კბილებ ჩაცვინულთა გაიხარონ უმაღლეს მისალმებაზე. ხულიგანებსა და ცენტრს შორის თავაზიანი დამოკიდებულება მყარდება: თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქმნა „მამალი" ხულიგანი ხომიაკოვი. დეპეშებში ნათქვამი არ არის ვინ მისცა ხმა, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლიან ვიფიქროთ,— კადეტები მიემხრნენ ხომიაკოვის კანდიდატურას,— უმისოთ შეუძლებელი იქნებოდა მისი გაყვანა. მაგრამ განა მხოლოდ კადეტები ხულიგანდებიან? არა, ხულიგანებიც კადეტდებიან. ხულიგანები ემხრობიან სანახევრო ამნისტიას. დიაღ, ორივეს სახეზე სადღესასწაულო სიხარული კრთის, მაგრამ მათი სიხარული მოკლე არის, სრული,—მოწამლულია. სამაგიეროთ, როგორც დეპეშებიდანა სჩანს, ევროპის ბურჟუაზია გულწრფელ სიხარულშია: მათ სწამთ რუს ლიბერალების და ხულიგანების სიხარულის გულწრფელობა, სწამთ, რომ მეორე სათათბიროს სასწაულთმოქმედმა ოპოზიციამ თვისი პირველი ნაბიჯითვე რევოლიუცია მიაძინა, „კონსტიტუცია" მკვიდრ საფუძველზე დაამყარა. რუსეთის წითელი აჩრდილი, რომლისაც მას ჩვენს კამარილაზე არა ნაკლებ ეშინოდა, გამქრალი ჰგონია.

## კრიზა

—

**„ისარი" თავს „იმართლებს"**. ჩვენი გაზეთის მეოთხე ნომერში „ისარს" რევოლიუციონური ღალატი, პოლიტიკური კრეტინობა და საბრალო ფრაზიორობა ვუწოდეთ. „ისარი" თავს „იმართლებს"... სიტყვის ბანზე აგდებით. ჩვენ ვეცდებით, რომ „ისარი" ფონს ვერ გავიდეს ამისთანა ოხუნჯობით. ჩვენ ვიმეორებთ ბრალდებას:

1) „ისარს" რევოლიუციონური ღალატი ვუწოდეთ, რადგანაც ის 38 №-ში „მართებლობასთან საშვიდობო მორიგებას" ურჩევს ხალხს. მართალია, თუ არა ეს ბრალდება? ლაპარაკობს თუ არა „ისარი," რომ დღეს როცა ერთმანეთს შეხვდებიან სათათბიროში ორი მოპირდაპირე ძალა („მართებლობა" და ხალხი), ორივემ უნდა „განაცხადონ" პირობები „საშვიდობო მორიგებისა," ამბობს თუ არა „ისარი" რომ ამ ორი ძალის ერთმანეთთან შეხვედრა „მშვიდობიანობის და სულგრძელობის გამოხატულებაა" და არა ბრძოლის? ჩვენ ვამბობთ, რომ ლაპარაკობს. ვიწვევთ „ისარს" გააბათილოს ეს **ფაქტი**.

2) „ისარს" პოლიტიკურ კრეტინობას ვაბრალებთ, რადგანაც მას სწამს „ორ მხარის შორის" მორიგება და ამიტომ დღევანდელ სათათბიროს პარლამენტს უწოდებს. მართალია თუ არა ჩვენი ბრალდება, გვაქვს თუ არა დღეს პარლამენტი? ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს არა გვაქვს პარლამენტი. არა გვაქვს პარლამენტი იმიტომ, რომ არა გვაქვს კონსტიტუცია, არ გვაქვს ისეთი „ძირითადი კანონები",

რომლებსაც ერთნაირათ ემორჩილება, როგორც ხალხი, ისე ძველი მთავრობა. რომელ კანონის ძალით არბევენ სოფლებსა და დაბებს; რომელი კანონის ძალით სწვავდნენ და სწვავენ სახლებს, ხალხს; რომელი კანონის ძალით შესცვალეს საარჩევნო წესები (გაიხსენეთ სენატის „განმარტებანი")? დიახ, ჩვენში ჯერ არ არსებობს კონსტიტუცია, არ არსებობს არც პარლამენტი, —ჩვენში დღეს სამოქალაქო ომია. ვისაც ეს არ სწამს, ის პოლიტიკური კრეტინია. ვიწვევთ „ისარს" წინააღმდეგი დაამტკიცოს.

3) „ისარს" საბრალო ფრაზიორობას ვაბრალებთ, რადგანაც, როცა პროგრამაზეა ლაპარაკი, ისარისტები ძალიან რევოლიუციონურ ფრაზებს გვესვრიან ხოლმე (იხილეთ ფედერალისტების პროგრამის პირველი პროექტი), ხოლო როცა პრაქტიკულ დასკვნაზეა საქმე მიმდგარი, ისინი „მართებლობასთან სამშვიდობო მორიგეობას" გვიქადაგებენ. რასაც პროგრამაში ამბობენ, იმას გაზეთში უარყოფენ. დაგვიმტკიცოს „ისარმა", რომ ეს ასე არ არი.

სანამ ჩვენ ბრალდებებს არ გააბათილებს „ისარი", მანამდე ჩვენ ვალდებული ვართ ვიმეოროთ, რომ ისარისტები არიან რევოლიუც. დალალები, პოლიტ. კრეტინები და საბრალო ფრაზიორები.

რაც შეეხება „ისარის" ტიკტიკს „ბალშევიკობაზე", „სამოქალაქო ომზე", სოც.-დემოკრატების „ულოიოაბაზე" და სხვა, —ჩვენ საჭიროთ არ ვთვლით გამოპასუხებას: მიუტევებს ისტორია, ვინაიდან არა იციან, რასა იტყვიან.

## ახალი ამბავი

22 თებერვალს, თბილისის პოლიტეხნიკუმის დამაარსებელ კომიტეტს კრება ჰქონდა. განხილულ იქმნა ანგარიში, საიდანაც აღმოჩნდა, რომ კომიტეტს დღევანდლამდე შემოსვლია 12000 მან. დადგინეს იყოლიონ ერთი „სჩეტოვოდი" რომელსაც თვიურათ 50 მან. მიეცემა. გარდა ამისა კომიტეტმა რამდენიმე პირის მოხსენება მოისმინა შესახებ რუსეთის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლების მოწყობილებისა. კრების ბოლოს არჩეულ აქმნა 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა თბილისის პოლიტეხნიკუმის მოწყობილება შეიმუშაოს, რომელიც შემდეგში განათლების მინისტრს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ კვირას 25 თებერვალს თბილისის, 1-ლ გიმნაზიის შენობაში ა. ი. ხატისოვს ლექცია უნდა წაეკითხა შემდეგ ტემაზე: „უმუშევრობა, საზოგადო სამუშაოები და პროფესიონალურ კავშირების მნიშვნელობა", მაგრამ თბილისის დრ. გენერალ-გუბერნატორმა ამის ნება არ დართო.

✦ თბილისის ქალაქის საყასბოს ყოფილ მუშამ სერგეი სარიბეგოვმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობაში საჩივარი შეიტანა ბეითალ მელქუმოვზე, სადაც ის აღნიშნავს ამ უკანასკნელის სხვა და სხვა ბოროტმოქმედებას.

✦ 23 თებერვალს, ღამე, ავჭალის ქუჩაზე მოვაჭრე ვართანოის თავს დაესხნენ ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი, წაართვეს 130 მან. და მიიმალნენ.

✦ 23 თებერვალს, მე-10 საპოლიციო ნაწილში, ცეხოვოისა და მაგისტრალნის ქუჩების კუთხეში, დილის 6 საათზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოკლა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების „კატელნი ცეხის" ბრიგადირი **სკოკოვი**. მკვლელი მიიმალა. ამ ამბავმა ხალხი მოაგროვა. ერთმა დამსწრეთაგანმა რევოლვერი ამოიღო და დასცა იქ მდგომ მუშას (გვარი ვერ შევიტყეთ) და დასჭრა. საერთოთ ამ ბრბოს მღელვარება ეტყობოდა და ყველა გამვლელ-გამომვლელს ემუქრებოდნენ. ბოლოს გამოიხმეს მახლობელი მედუქნე ძეგველოვი, რომელსაც ერთმა რევოლვერი პირში დაახალა. დაჭრილი ძეგველოვი და მუშა საავათმყოფოში წაიყვანეს.

## პარტიის ცხოვრება

**პეტერბურგის სოც.-დემოკრ.-კომიტეტი.** როგორც ამას წინედ ვწერდით, ბალშევიკები პეტერბურგის კომიტეტში აუარებელ უმეტესობას წარმოადგენენ. პეტერბურგის კომიტეტმა თანხმობა გამოუცხადა ლენინს, რომელიც მენშევიკებს კადეტებთან სადეპუტატო ადგილებზე ვაჭრობას აბრალებს თავის ბროშურაში: „არჩევნები პეტერბურგში და 31 მენშევიკის ფარისევლობა." ამიტომ(?) ორიოდე მენშევიკი, რომლებიც დღეს პეტერბ. კომიტეტში ითვლებიან, პარტიული სამართლის დათავებამდე, კომიტეტიდან გამოვიდნენ.

**თბილისის ბალშევიკების რეზოლიუცია „დღევანდელ მომენტზე და ჩვენს ტაქტიკაზე".** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ ბალშევიკების შემდეგი რეზოლიუცია: „სოც.-დემოკრატია თავის უმთავრეს მიზნად ისახავს სოციალისტურ რევოლიუციის მომზადებას პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების გაძლიერებით და მის ძალების ორგანიზაციით, რის გამოც ის ყველგან და ყოველთვის იბრძვის იმისთანა პოლიტიკური პირობებისათვის, რომლებიც ყველაზე უფრო ხელს შეუწყობს მის პარტიულ მუშაობის გაფართოებას. კაპიტალისტურ წესწყობილებაში ამისთანა პირობები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება. ამიტომ სოციალ-დემოკრატია დღევანდელ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რევოლიუციაში, რომელიც მიმართულია ბატონ-ყმურ ნაშთების წინააღმდეგ, იბრძვის ამ ნაშთების სრულიად განადგურებისათვის და სახალხო დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის, რომელიც დაამყარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თუ ნათქვამს არ დავივიწყებთ და სახეში ვიქონიებთ რომ:

1. ჩვენი რევოლიუცია არამც თუ არ სუსტდება, არამედ გამწვავებული სამრეწველო კრიზისის გამო ქალაქებში და შიმშილობის გამო სოფლებში (რომელმაც 30 გუბერნიაზე მეტი მოიცვა),—უფრო და უფრო ძლიერდება, რაც აშკარათ ჰყოფს სახალხო დამფუძნებელ კრების ობიექტიურ აუცილებლობას;

2. რომ ამ რევოლიუციის მსვლელობაში საზოგადოება უფრო და უფრო იყოფა, ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ბანაკად მემამულეების და ფაბრიკანტებისა რეაქციის მეთაურობით, და ბანაკად პროლეტარებისა და გლეხებისა სოც.-დემოკრატიის მეთაურობით, რაც თავისთავად აშკარავებს დამფუძნებელ კრების კლასიურ საფუძველს;

3. რომ სათათბიროს მოღვაწეობამ და აგრეთვე მისმა გარეკამ ნათლათ დაანახვა ხალხის ფართე მასას მისი ინტერესებისა და რეაქციის არსებობის სრული შეურიგებლობა და მით ნათელჰყო ამ რეაქციის ძალით დამხობის აუცილებლობა;

4. რომ კადეტების ანტირევოლიუციონურმა მოქმედებამ, როგორც სათათბიროში, ისე სათათბიროს გარედ, რომელიც აშკარათ მიმართული იყო (და არის ეხლაც) გლეხების მოთხოვნილების წინააღმდეგ, შესახებ „ყველა მიწების და მთელი თავისუფლების" მოპოებისა,—ძირს დასცა კადეტების გავლენა გლეხკაცობაში და თანდათან თავს უყრის გლეხებს შეგნებულ პროლეტარების გარშემო, რაც შესაძლებლად ჰხდის რევოლიუციის სრულ გამარჯვებას;

5. რომ ერთი მხრივ მთელი შარშანდელ-წლევანდელი მოქმედება კამარილასი მის სამხედრო—საველე სასამართლოებით და მეორე მხრივ გაძლიერებული დრტვინვა სალდათებში და მატროსებში, კიდევ უფრო აშკარავებს ხალხის თვალში აუცილებლობას და შესაძლებლობას როგორც რეაქციის მოსპობის, ისე ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას;

6. რომ მეორე სათათბირო, მთელათ დამახინჯებული სენატ-სტოლიპინის „განმარტებით", თითქმის არა-რაობად ქცეული პოლიციის ფაქტიურ „განმარტებით", ვერ შესძლებს მუშებისა და გლეხკაცობის ფართო მასის ინტერესების გამოხატვას;

ვიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენ წინადადებას ვიძლევით სცნოთ რომ:

1. სოციალდემოკრატიის მორიგი ლოზუნგია სახალხო დამფუძნებელ კრების მოწვევა დემოკრ. რესპუბლიკის დასამყარებლად;

2, რომ ასეთი დამფუძნებელი კრება შეიძლება განხორციელდეს რეაქციის დამხობის შემდეგ ძლევა-მოსილ იერიშების შემწეობით;

3. რომ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში საიმედო მოკავშირეობას გაუწევს პროლეტარიატს მხოლოთ რევოლიუციონური გლეხობა;

4. რომ ეს ბრძოლა შეიძლება სრული გამარჯვებით დაგვირგვინდეს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ხალხის ყოველგვარ პოლიტიკურ გამოსვლას ხელმძღვანელობას გაუწევენ რევოლიუციის მოღალატე კადეტები კი არა, არამედ რევოლიუციის მამოძრავებელი შეგნებული მუშები".

—

**ბალშევიკ მუშაკების განცხადება.** ჩვენ მივიღეთ შემდეგი განცხადება: „ვიღაც დემაგოგებს ტყუილი ხმები გაუვრცელებიათ ამხანაგებში, რომ მოწინავე ბალშევიკებს არ სურთ დისკუსიებზე დასწრებაო. „საბუთად" ის მოჰყავთ, რომ ხსენებული ბალშევიკები არ დასწრებიან ერთხელ კოლექტივში „დისკუსიას". ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ხმები შეუფერებელი ცილის წამებაა. ჩვენ ვამბობთ, რომ პირიქით მოწინავე მენშევიკები არ ესწრებიან დისკუსიებს, სისტემატიურათ გაურბიან მოპირდაპირეებს და, ხშირად, ცდილობენ ისე მოაწყონ „დისკუსია", რომ ბალშევიკები ვერ დაესწრნენ (ატყობინებენ ერთი დღის წინ კი არა, როგორც ეს დაწესებულია, არამედ ორი-სამი საათის წინ; ნიშნავენ დისკუსიას მოპირდაპირეებთან მოულაპარაკებლათ და სხვა). ჩვენ მუდამ ვითხოვდით და მუდამ მოვითხოვთ უთანხმოების კითხვებზე ფართე დისკუსიას ფართე მასსაში. რაც შეეხება კოლექტივში ჩვენს დაუსწრებლობას, ამაზე ვიტყვით, რომ კოლექტივში დისკუსია კომედია იქნებოდა: კოლექტივის უმეტესობამ დიდი ხანია ფიცი მისცა მენშევიზმს.

## ამხ. გლახუა მეტრეველის ხსოვნას.

(ნეკროლოგი).

ამ დღეებში მივიღეთ წერილი ტობოლის გუბერნიაში გადასახლებულ ამხანაგებიდგან, რომ იქ, ქ. ტიუმენში „პეტრეპავლოვის" საავათმყოფოში გარდაიცვალა კიდევ ერთი თავისუფლებისათვის მებრძოლი,—ამხ. გლახუა მეტრეველი.

გლახუა სცხოვრობდა ს. ჩხერში (შორაპნის მაზრა) და იყო უბრალო გლეხი, მაგრამ მიუხედავათ მისი მცირე ცოდნისა, მან შეძლებისდაგვარათ მაინც შესაფერი სამსახური გაუწია განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ჯერ კიდევ 1903 წელს,—როდესაც „ზემო იმერეთში" „თავისუფლებაზე" ლაპარაკიც არსად იყო,—ის შესაფერისათ ესაუბრებოდა თავის ამხანაგ გლეხებს არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ... და არა ერთხელ გაილაშქრა კერძოთ მან „სულიერ-მამების" და სხვა მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ, რაზედაც ადგილობრივი მოხელეები და სხვა ბობოლები გადაემტერნენ მას, და თვალ-ყურს ადევნებდნენ ყოველგვარ მის მოქმედებას.

1904 წელს სოფლათ გლეხებში გაიმართა პროპაგანდა-წრეები, რომლის არსებობასაც ნიადაგი მისცა გლახუა მეტრეველმა თავის ენერგიულ მოქმედებით. ბევრი კარგი დღეები სიამოვნებით გაუცდენია მას წრეების მოსაწყობათ, მისდა მიუხედავათ, რომ ის ღარიბი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი იყო და ძნელი იყო მისთვის თავის სამუშევარზე მოშორება. ხოლო 1905 წელს ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში გლახუა მეტრეველი, როგორც საუკეთესო მეთაურთაგანი გლეხების ასისთავათ აირჩიეს და მას მიანდვეს სხვადასხვა საქმეების წარმოება... მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან აგრეთვე წიფის მთაზე კაზაკებთან შეტაკების დროს და აგრეთვე დაამზადა მან იქ თავის რაზმით ბარიკადები და სხვ...

შემდეგ, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა და ცეცხლითა და მახვილით მოედვა მთელს კუთხეს, ამ დროს გამოყვეს თავი ხვრელიდან ქვე-მძრომმა ვაჟ-ბატონებმა და აშკარათ აჭერვინებდნე ყველას, ვისაც თავისუფლათ ამოესუნთქა. დააპატიმრეს, სხვათა შორის, გლახუაც, რომლის დაბეზღებაშიაც მონაწილეობა მიიღეს უმთავრესათ: მღვდელმა—რომანოზ დეკანოიძემ, იოსებ ტაბატაძემ და სისინა მეტრეველმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს, გარდა გლახუასი, ხოლო ამ უკანასკნელის შესახებ დაჟინებით თხოულობდენ ზემო ხსენებული პირები „ეგ არ გაანთავისუფლოთ, თორემ აგვიკლებს"-ო. ამ დროს საჭგურ მარელისში საშინლათ ცემეს გლახუას ერთ ამხანაგს კაზაკებმა, რომელიც გამოტყდა, რომ „იარაღის საწყობი გლახუა მეტრეველს აქვსო", რაც მართლათ აღმოაჩინეს ხელმეორეთ გაჩხრეკის დროს და რისთვისაც გლახუას კიდევ უფრო მკაცრათ მოეპყრენ და, ბევრი ცემის შემდეგ, გაგზავნეს ქუთაისის სატუსაღოში. იქიდან კი—1906 წელს, ივნისში გადასახლებულ იქნა ხუთის წლით ტობოლის გუბერნიაში, სადაც ის სხვადასხვა აუტანელ პირობებში, სიცივ-შიმშილით მწარე ტანჯვას ეწეოდა.

ვერ აიტანა წამება არსებულ თვითმპყრობელურ რეჟიმში ამხ. გლახუამ და ამა წლის 28 იანვარს ქ. ტიუმენში „პეტრე-პავლოვის" საავათმყოფოში სავსებით გამოესალმა სიცოცხლეს საუკეთესო მებრძოლი.

მშვიდობით ძვირფასო ამხ. გლახუა! უკანასკნელათ ვესალმებით დღეს შენი ამხანაგები უკვე დადუმებულს შენს სიმპატიურ სახეს!.. წინანდებურათ ვეღარ დავირაზმებით, ძამო გლახუა, შენის მეთაურობით მტერთან შესაჯახებლად... მაგრამ დღეიდგან ჩვენ შევასრულებთ შენს წმინდა ანდერძს და როდესაც უკანასკნელი წუთი დაჰკრავს გამარჯვების,

ჩვენ მოვსთხოვთ შენს მაგიერ პასუხს ჯალათებს!..

**ვასო.**

## მუშათა მოძრაობა და კავშირები.

**რძის მაღაზიების ნოქართა პროფ. კავშ. საზოგადოების ბიუროს დადგენილება.** ვიღებთ რა, სახეში... რომ ყველა მერძევეთა მაღაზიები დაკეტილი უნდა იყოს კვირაობით მთელი დღე,—ვაცხადებთ, რომ ეს დადგენილება ვრცელდება ყველა მერძევეთა მაღაზიებზე, როგორც არის მაგალითათ: კუჩემბახი, ხაროვიჩი, შადინოვი, ჩიჩკინი, მაისურაძე, მელიქ ბახტამიანი, ალუგაშვილი, გიგოლოვი, არუთინოვი, მატინოვი, საფელიანცი, ტუმანოვი არარატი და სხვა.

**თბილისის მეეტლეები.** დღეს ვერავინ გაგვაკვირვებს მუშების ტყავის ძრობით, მაგრამ თბილისის მეეტლეების ხაზეინებმა ნამეტანი გადააჭარბეს. ისინი ცდილობენ წარსის უგულმა დატრიალებას და უოგელნაირ ზომებს ხმარობენ-ძველი წესი აღადგინონ და მონა-მორჩილი გახადონ მუშა-მეეტლეები. წარსულ შემოდგომაზე თბილისის მეეტლეები გაიფიცნენ და მოითხოვეს ჯამაგირის მომატება, თვეში სამი დღის დასვენება, მიღება-დათხოვნის უფლება, უდანაშაულოთ დათხოვნილისთვის სამი თვის ჯამაგირის მიცემა და სხვა. ეს გაფიცვა მეეტლეების სრული გამარჯვებით გათავდა. მაგრამ ბატონი აღები შეეცადნენ ბრძოლით მოპოვებული უფლებები მეეტლეებისა უკანვე დაებრუნებინათ და ძველებურათ ეჟვლიფათ მუშა-მეეტლები. ამ „დიდებულ“ საქმის ინიციატორობა იკისრა, ხაზეინებში ცნობილმა მუგლეფელმა, კოტე მერაბოვმა; მის მაჩანჩალებათ გამოვიდნენ, ისეთივე: გაბო ჯა...ულოვი და ნაპოლეონ იაშვილი. ამათ მოიწვიეს ხ. ზეინების კრება და შეიმუშავეს მეეტლეებისთვის შემდეგი წესები: ჯამაგირი უნდა მიეცეს ათი მანეთი თხუთმეტი მანეთის მაგივრათ, გააუქმეს სამი დღის დასვენება თვეში, შემოიღეს უმიზეზოთ დათხოვნა და ჯამაგირის მიუცემლათ გასტუმრებაც კი. ამმიზანის მასაღწევათ მიმართეს პოლიციას და დაატუსაღებინეს მოწინავე მეეტლეები; დანარჩენებს ემუქრებოდენ დათხოვნით და დატუსაღებით და ძალათ აწერინებდნენ ხელს მათ შემუშავებულ პროექტზე. ხაზეინების შემუშავებულ წესების სისრულეში მოყვანა პირველად იკისრეს ბ. ბა...რატროსტომოვმა და სერგეი ზალინოვმა, რაიც გამოიხატა მეეტლეების უმიზეზოთ დათხოვნაში და ისეთების მიღებაში, რომელნიც მონა-მორჩილი არიან ხაზეინების წინაშე. ამ რიგათ რაზეინებმა ერთხელ კიდევ ფეხქვეშ გათელეს და აბუჩათ აიგდეს მეეტლეები. მაგრამ ავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ უოველთვის არ იწვიმებს, ერთხელაც გამოიდარებს და მაშინ მეეტლეები პასუხს მოსთხოვენ მათ ასე აბუჩათ აგდებისთვის.

**ლუკა ეფემიშვილი**

## პატარა ფელეტონი

(დაშნაკცაკანების სიმბოლო სარწმუნოებისა)

**მღვდელი.** ვიჯმნი ქართველებისაგან, და ყოველთა წინაპართა მათთაგან, და ყოველთა მიმდევართა მათთაგან და ყოვლისა სამშობლოისა მათთაგან.

**მოსანათლი.** (იმეორებს სამჯერ).

**მღვდელი.** განაგდება სოციალდემოკრატიასა?

**მოსანათლი.** (სამჯერ) განვაგდებ!

**მღვდელი.** შეაფურთხე მას სამგზის!..

**მოსანათლი.** (სამჯერ აფურთხებს).

**მღვდელი.** შეუდგებია დაშნაკცაკანებსა?

**მოსანათლი.** შევუდგები (სამჯერ).

შემდეგ მღვდელი იღებს მაკრატელს და ჯვარედინათ ჰკრეჭს თმას.

**მღვდელი.** ადიკვეცების მონა ქართველი (სახელი) დაშნაკცაკანათ (კიდევ შეეკითხება მოსანათლავს).

**მღვდელი.** გრწამსა დაშნაკცაკანი?

**მოსანათლი.** მრწამს!..

**მღვდელი.** ეფუცე მას!

**მოსანათლი.** (კითხულობს სიმბოლო სარწმუნოებისას).

1) მრწამს ერთი ჰაიოსი, მამა სომხითის მპყრობელი, შემოქმედი სომეხთა ერისა—კავკასიელთა და არა კავკასიელთა.

2) და ერთი უფალი უძლეველი დაშნაკციუტუნი, ძე ჰაიოსისა, მხოლოდ შობილი, სომეხთაგან შობილი უწინარეს თათართა ჟლეტისა; სომხობა სომხებისაგან, ნაციონალისტი ჭეშმარიტი დაშნაკცაკანებისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი რეაქციისა, რომლისაგან ხოცვანი შეიქმნა.

3) რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გადმოვიდა ოსმალეთით, მაუზერნი შეისხნა კაპიტალისტთა ქონებითა და ოქროებითა ბურჟუაზიისა განკაცნა.

4) და ჯვარს ეცვა ჩვენთვის თფილისში გოლიცინის დროსა და წაერთვა ქონება და დალარიბდა.

5) და აღსდგა მეორესა წელსა მსგავსათ ბრძანებისა რეაქციისასა.

6) და ამაღლდა ქვეყნათ და მჯდომარე არს მარჯვენით მთავრობისა.

7) და კვალათ განაგრძობს საქმესა მას საგმიროსა განსჯათ სოციალდემოკრატიისა, რომლისა შლეგიანობასა არა აქვს დასასრული.

8) და ზინვორები შეიარაღებულნი, რომელნი უვიც სომეხთაგან გამოვალნ და სომხის ერთა და დაშნაკცაკანებისა მიერ იქებიან და იდიდებიან, რომელნი იტყვიან მაუზერებითა სიმართლესა.

9) ერთი წმიდა კათოლიკე და სადაშნაკცაკანო ეკლესია-ეჩმიაძინი.

10) აღვიარებ სომხურათ ნათლისღებასა შესარჩენათ სიცოცხლისა.

11) მოველი სიკვდილსა მაუზერითა.

და 12) და დაფლვასა რომელსა.. ჩ ხევსა შინა. ამინ.

**შენიშვნა.** ეხლა ქართველებში ხშირათ შეხვდებით იმისთანა პირთ, რომელთაც სურთ ცოლ-ქმრული შეუღლება სომხის ქალთან, ან კაცთან. ამისთანა პირებს ვურჩევთ ზეპირათ დაისწავლონ ეს სიმბოლო, რადგანაც დაშნაკცაკანების პარტია მოითხოვს მათგან აუცილებლივ სომხურათ მონათვლას და სომხურათვე ჯვარის წერას. ამის მაგალითები ბევრი მოხდა ავლაბარში და კუკიაში.

**მ—მ—ო.**

## რ უ ს ე თ ი

**ახირებული ნაკაზები ახირებულ დეპუტატს.** მაიკოპიდან ატყობინებენ „ტოვარიშჩს“, რომ იქაურ კაზაკებს სახელმწიფო სათათბიროში მონარქისტი აურჩევიათ, რომლისთვისაც დაუვალებიათ შემდეგი ნაკაზის განხორციელებისათვის ბრძოლა: ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო და საეკკლესიო მიწები უსასყიდლოთ გადაეცეს ხალხს, კერძო მამულები კი სასყიდლით. მაგრამ ეს ხომ მონარქისტების პროგრამა არაა! დიახ! ძლიერ ტრაღი-კომიკურ მდგომარეობაში იქნება საბრალო დეპუტატი.

**მეორე დუმის პარტიული შედგენილობა.** 16 თებერვლამდე ამორჩეული 499 დეპუტატი ასე ნაწილდება პარტიების მხრივ:

| | |
|---|---|
| მონარქისტები . . . . . . . | 35 |
| ოქტომბრისტები . . . . . . | 35 |
| ზომიერნი . . . . . . . . | 42 |
| ნაციონალ. დემოკრატები. . . | 35 |
| უპარტიონი და უცნობნი. . . | 29 |
| მშვიდობიან განახლების პარტია. | 3 |
| დემ. რეფ. პარტია. . . . . | 1 |
| კადეტები . . . . . . . . | 92 |
| უპარტიო მემარცხნენი . . . | 94 |
| პოლ. პროგრესისტ. პარტია . . | 3 |
| შრომის ჯგუფი. . . . . . . | 24 |
| სახალხო სოციალისტები . . . | 7 |
| სოც.-რევოლიუციონერები . . | 34 |
| სოციალ-დემოკრატები. . . . | 64 |

**როგორ გავიდა სათათბიროში კრუშევანი.** 14 თებერვალს პეტერბურგში ჩასულა კიშინევის პროგრესიულ ამომრჩევლების რწმუნებული სიცინსკი, რომელსაც თურმე დავალებული აქვს პავოლაკი კრუშევანის ამორჩევის განსაჩივრება. სიცინსკის პოლიციისგან დამტკიცებულ ამომრჩეველთა ჩვენების გარდა საბუთები აქვს აგრეთვე **იმის დასამტკიცებლათ, რომ კრუშევანი მკვდრების ხმითაა გასული.**

**კაულბარსი და მისი მეგობარი.** ბარონი კაულბარსი შეეპირებია ელისავეტგრადის ნამდვილ რუსთა კავშირის თავმჯდომარეს ივანოვს არტილერიის სკლადიდან 20 ვინტოვკის მიეიდვას; მხოლოდ იმ პირობით, თუ ელისავეტგრადის გენერალ-გუბერნატორს ამის წინააღმდეგ არაფერი ექნება. ეხლა კაულბარსს ივანოვისგან საჩივარი მისვლია, რომელშიაც უკანასკნელი ელისავეტგრადის გენერალ-გუბერნატორის მისდამი უნდობლობას უჩივის, რადგანაც იმან მხოლოთ 10 ვინტოვკის შეძენაზე დართო ნება. კაულბარსს შუამდგომლობა აღუძრავს საარტილერიო გამგეობის წინაშე ივანოვის სრულ დაკმაყოფილებაზე.

**პეტერბურგის მუშათა კურიიდან ამორჩეული დეპუტატი გ. ა. ალექსინსკი.** გ. ა. ალექსინსკი საერობო ექიმის შვილია. იგი დაიბადა 1879 წ. დაღისტნის ოლქში. იაროსლავის გიმნაზიის გათავების შემდეგ, ალექსინსკი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც მან 1899 წლამდე დაჰყო. 1899 წელს ალექსინსკის აღუკრძალეს მოსკოვში ცხოვრება. 1902 წელს ხელმეორეთ დატყვევებულმა გ. ა—მ ექვსი თვე სხვა და სხვა ციხეებში გაატარა. 1904 ალექსინსკის როგორც იქნა მოსკოვში დაბრუნების ნება მისცეს სახელმწიფო ეგზამენის ჩასაბარებლად. 1905 წელს იგი საბოლოოთ დაესახლა პეტერბურგში და იქაურ ორგანიზაციაში თავგამოდებით მუშაობდა. 1906 წელს, მოსკოვში ყვლის დროს, ალექსინკი კიდევ დააპატიმრეს, მაგრამ ექიმების დაჟინებული თხოვნით ხუთი კვირის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. ალექსინსკი ბალშევიკურ ფრაქციას ეკუთვნის. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ვოლნაში“ „ეხო“-ში და სხვა ბალშევიკურ პერიოდულ გამოცემებში. ალექსინსკის კალამს ეკუთვნის მთელი სერია სხვა და სხვა კითხვებზე დაწერილ სოც.-დ. ბროშიურებისა.

## უ ც ხ ო ე თ ი

**ინგლისი.** ამ თვის 21 (ახალი სტილით) ზედა პალატამ მოისმინა ლორდ ნიუტონის წინადადება ხსენებულ პალატის ზოგიერთა უფლებების შეზღუდვის შესახებ.

საქმე იმაშია, რომ ინგლისის ზედა პალატა შესდგება განსაკუთრებით მდიდარ მიწათმფლობელ ლორდებისაგან, რომელთა უძრავი ქონება შეადგენს მთელი ინგლისის მეექვსედ ნაწილს. მათ ირჩევს არა ხალხი, არამედ ნიშნავს თვით მეფე, ერთხელვე დეპუტატად დანიშნული ლორდი სიკვდილამდის რჩება ამ ადგილზე, და სიკვდილის შემდეგ მას თავის პირველ შვილსა უანდერძებს ხოლმე, მიუხედავათ იმისა ღირსია იგი ამ ადგილისა თუ არა? ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მთელი ლორდთა პალატა წარმოადგენს ერთ მთლიან კონსერვატიულ მასსას, რომელიც ყოველ პროგრესს წინ ეღობება და რომელიც, სარგებლობას რა მით, რომ უიმისოთ არც ერთ კანონ-პროექტს არ შეუძლიან ძალაში შევიდეს, არავითარ გასაქანს არ აძლევს ეხლაც დასახიჩრებულ წარმომადგენლობით დაწესებულებასაც-კი როგორიცაა ინგლისის ქვედა პალატა. ლორდთა პალატის ინტერესები, როგორც მდიდარ მიწათმფლობელთა წარმომადგენელების ინტერესები, ბევრათ ეწინააღმდეგება ქვედა პალატის ინტერესებს, რადგან უკანასკნელი ყველგან და ყოველთვის კაპიტალისტ-ფაბრიკანტების ინტერესების დამცველ დაწესებულებათ გამოდის. და ამიტომაცაა, რომ ქვედა პარატა, ერთ დროს თუ მას ე. ი. ლორდთა პალატას მუშათა კლასის დასაბეჩავებელ იარაღათ ხმარობს და ხელზე საგოგებელ საგნათ მიაჩნია, მეორე დროს, როცა ლორდთა საქციელი მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს მას.

მაგალითად: არის ხოლმე ისეთი წამი, როცა ქვედა პალატა, ამომრჩევლებისაგან იძულებული, მიიღებს ხოლმე ამა თუ იმ კანონ-პროექტს მხოლოთ იმ იმედით, რომ მას ლორდთა პალატა უარჰყოფს. ისიც, რასაკვირველია, მას იმედებს არ გაუცრუებს ხოლმე და მით დიდ სამსახურს უწევს კაპიტალისტ-ფაბრიკანტების პალატას მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისთანა დროს, ლორდთა პალატასა და ქვედა პალატას შორის, კეთილ განწყობილებას საზღვარი არ აქვს. მაგრამ, არის ხოლმე ისეთი წამიც, როცა ქვედა პალატას ძაან გულითაც სურს ამა თუ იმ კანონ-პროექტის განხორციელება, მაგრამ ლორდთა პალატა თვის veto-ს ადებს და ერთის დაკვრით სპობს კაპიტალისტთა სურვილს. აი, ამ დროს კი ირღვევა მყუდროება, კეთილ განწყობილება შუღლს უთმობს ადგილს და ამრეზილი ქვედა პალატა აბსოლიუტურ veto-ს გაუქმებას თხოულობს. აი, სწორეთ ეს უკანასკნელი სურათი ხდება ეხლა ინგლისში.

ამ ცოტა ხანში, ქვედა პალატამ მიილო ახალი კანონ-პროექტი სკოლის შესახებ, მაგრამ ლორდთა პალატამ იგი უარჰყო. ამით გაბრაზებულმა მინისტრმა ბანერმონმა ქვედა პალატასთან ერთათ ბრძოლა გამოუცხადა „კონსერვატორთა კომიტეტს“ (ასე ეძახიან ინგლისში ლორდთა პალატას) და დიდ აგიტაციას სწევს მის წინააღმდეგ. ლორდთა პალატამ, იგრძნო რა, რომ მის წინააღმდეგ მკაცრ აგიტაციას ეწევიან და შეიძლება საფრთხეც მოელოდეს, თვითონ დაასწრო და თავის უფლების შეზღუდვას თვითონ მოჰკიდა ხელი. ის, ნიუტონის პირით აცხადებს, რომ ამიერიდან მარტო ერთადერთი ჩამომავლობა არაა საკმარისი, რომ კაცი კანონმდებელი გახდეს და ზედა პალატაში ადგილი დაიჭიროს, როგორც ეს აქამდის იყოვო. დღეიდან ზედა პალატაში ადგილი უნდა ჰქონდეს არა ყველა სრულწლოვან პერს, რომელსაც ეჭირა აქამდის რაიმე დიდი ადგილი სამოქალაქო, ან სამხედრო სამსახურში, ან-და წევრი იყო ქვედა პალატისა ორ კანონმდებლობითი დროს განმავლობაში. ამნაირათ, ახალის კანონ-პროექტით, ინგლისის პერების რიცხვი ძალიან კლებულობს. აქამდის იგი უდრიდა 522-ს ახლა კი იგი თითქმის 130-ზე დადგა. „სასულიერო“ ლორდების (არქიეპისკოპოზები, ეპისკოპოზები და სხვა) რიცხვიც, რომელიც აქამდის 26

უდრიდა, ძალიან შემცირდება. მეფისაგან დანიშნულ ლორდთა რიცხვიც 100-დე დადის აი, ამ გვარ კანონ-პროექტით უპასუხა ლორდთა პალატამ ქვედა პალატის გულის წყრომას. საქმე რით გათავდება ამას მომავალი გვიჩვენებს.

როგორ უცქერის ამ ტრაგი-კომედიას ინგლისის მუშა ხალხი? რადგან, ამ კონკრეტიულ ამოცანის შესახებ არავითარი სხვა ცნობა არ გვაქვს, მოგვყავს „Русскія Вѣдомость“-ში სოციალ-დემოკრატიულ ორგანო „Justice“-დან ამონაწერი ციტატა. აი, რას სწერს იგი: „ვერ ბედავენ რა, რომ შეუდგნენ დაპირებულ სოციალურ რეფორმების განხორციელებას, ლიბერალებს ძალიან უნდათ „მკაცრი აგიტაცია“ გასწიონ ლორდთა პალატის წინაამდეგ, რომელიც წინედ თვითონვე გაამაგრეს, მით რომ გამოჩხრიკეს ბევრი ახალი პერები...

რასაკვირველია, ჩვენ სულაც არ თანაუგრძნობთ ლენდლორდების პალატას, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ცოტას უჯერებთ კაპიტალისტების პალატასაც. ლიბერალების მიზანი ჩვენთვის ცხადია. მათ უნდათ დრო გააჭიანურონ. მათი სასკოლო ბილი ძაან ცუდი იყო და ჩვენ ფრიად გახარებულნი ვართ, რომ ლორდთა პალატამ იგი უარჰყო... ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ ლიბერალების შველას წინააღმდეგ ლორდებისა, დეე, მათ თვითონ მოახდინონ თავიანთ „რევოლიუცია“ ჩვენდა დაუხმარებლათ.

---

## ღია წერილი.

ტფ. ტრამ. კონდუქტორ სარდიონ ქელიძეს.

ეს მეათე თვე არის, რაც მე, თქვენ მიერ ზნეობრივად შეურაცხყოფილი, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. ორი კვირის წინათ რაჭა-ლეჩხუმის მოწინავე მუშათა კრებაზედაც გამოგიწვიეთ ჩემი ძმის პირით, მაგრამ უარყავით. ხუთი დღის წინათ ამ. ბ. პირით კვლავ მოგმართეთ, მაგრამ თქვენგან გადაჭრილი პასუხი მაინც ვერ მივიღე. ახლა გაზეთის საშუალებით უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ა თ გაძლევთ წინადადებას: გამომყევით სამედიატორო სამართალში. ვადას გაძლევთ დღეს ამ გამოწვევის გაზეთში გამოცხადებიდგან. ჩემის მხრივ ვიწვევ მედიატორებათ: სპ. ქ. ს. ჯ. და ნ. დ..

უკეთუ ამ კულტურულ მოთხოვნას კიდევ აღარ შეასრულებთ, რისაც ღირსი ხართ ჩემგან თვით კარგათ იცით და იძულებული ვიქნები პირადათ გაგისწორდეთ.

სიმონ ქელიძე.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ შენიშვნას. ხუთშაბათს, დანიშნული ყოფილა დისკუსია ანარქისტებთან. სოც.-დემოკრატებიდან უნდა ყოფილიყო თურმე ამხანაგი შვარცი. მე შემთხვევით მითხრეს, რომ თუ მოიცალო, გამოიარეო. მეც შევპირდი: თუ მოვიცლი, დიდი სიამოვნებით-თქო. ახლა კი ხმები დადის, რომ ვითომ ჩემი მიუსვლელობით დისკუსია ჩაიშალა. ვაცხადებ, რომ ასეთი ცრუ ხმების გავრცელება არ შეეფერება ამხანაგურ ღირსებას. ამ. შვარცის მაგიერ კი პასუხს არ ვაგებ.

კობა.

—

ბატონო. რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირედ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ამას წინეთ გაზ. ლამპარის, № ში იყო გამოცხადებული ერკეთის საზ. ბიბლიოთეკა—სამკითხველოს შესახებ. გამგე ბიბლიოთეკისა სთხოვდა ყველა ქალაქის ამხანაგებს ქონებრივ და ზნეობრივ დახმარებას. ამისათვის ჩვენ იმავე სოფ-ლის თფილისში მცხოვრებმა ამხ-მან—გადავწყვიტეთ: აგვერჩია წიგნებით და გამოცემებით დამხმარე პირნი. ავირჩიეთ ქვემოთმოხსენებულნი პირნი: 1) ქ. ო. მ—სა, 2) მ. პ—ძე, 3) ვ. მ—ძე, 4) ი. გ—ძე, 5 და 6 გ. და ი. მ—ლები ამისათვის ვსთხოვთ ყველა თანამგრძნობთ და პატივცემულ საზოგადოებას, ვისაც [illegible]თავეთ ეს პირნი—დახმარება გაუწიოთ ქონებივათ.

ამხანაგების მონდობილებით ტ. მგ—ლი

---

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21—22 თებერვალი

**ლონდონი.** ტოკიოდან „ტაიმს“ ატყობინებენ, რომ იაპონიაში გულითათ სალამს უძღვნიან მომავალ რუსეთ-იაპონიის შეთანხმებას. გაზეთები აცხადებენ, რომ შეთანხმება ინგლისსა, საფრანგეთსა, რუსეთსა და იაპონიის შორის ხანგრძლივ დაიცავს მშვიდობიანობას შორეულ აღმოსავლეთში. გაზეთების სიტყვით (არ არის?) არავითარი სერიოზიული დაბრკოლებანი—სერიოზულ შეთანხმების შესახებ, რომელიც სამუდამოთ სახელს მოუხვეჭდა კაროლ ედუარდს. „მორნინგპოსტი“ იტყობინება ვაშინგტონიდგან, რომ გამოცხადდა განკარგულება, რომლითაც წყნარ-ოკეანის, ჩინეთის და ფილიპპინის ესკადრა გამოცხადებულია ერთ, წყნარ ოკეანის ფლოტად და ბაზისათ ექნება გონოლულუ. როგორც სჩანს მთავრობამ საჭიროთ სცნო იქონიოს საკმარისათ ძრიელი ფლოტი, ფილიპინის, გავაიის და შეერთებულ შტატების ჩრდილოეთ ნაპირების დასაცავათ.

**კიევი.** ექვსი დღის სწავლის შეწყვეტის შემდეგ, გაიხსნა უნივერსიტეტი. შესდგა კომისია ოთხ პროფესორისა და ოთხ სტუნდენტისაგან უნივერსიტეტის ცხოვრების კითხვების განსამარტავათ.

**სევასტოპოლი.** ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ნეპლიუევს: „გულწრფელათ გილოცავთ თქვენ მეორეთ გადარჩენას მხეცურ თავდასხმისაგან. გისურვებთ სიცოცხლეს, მხნეობას და ძალას, შეუდრეკლათ განაგრძოთ თქვენი გულწრფელი და ერთგული სამსახური რუსეთისა და ჩემდამი. „ნიკოლოოზი“.

საპასუხო დეპეშა ხელმწიფე იმპერატორთან: მუხლ მოდრეკილი ალვავლენ თქვენის იმპერატორებითი უდიდებულესობისადმი ჩემს უქვეშევრდომელეს მადლობას იმ უზომო ბედნიერებისათვის, რომელიც მომიძღვნა მე თქვენმა წყალობის სიტყვებმა. შევსთხოვ ღმერთს თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის სიცოცხლეს და კეთილდღეობას-

**ბერლინი.** „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“, რომელიც ილაშქრებდა სტოლიპინის წინააღმდეგ, ეხლა გრძნობს აუცილებლობას ცოტა ფრთხილათ მოეკიდოს რუსეთის მდგომარეობის განხილვას. ის ამბობს, რომ მთავრობამ აღიარა დუმა აუცილებელ ფაქტორად პოლიტიკურ ცხოვრებაში. დეპუტატები დარწმუნდნენ, რომ შეუძლიანთ მიახწიონ რამეს თუ წინდახედულათ იმოქმედებენ და არ შეეცდებიან აუსრულებელ მიზნების გამოთქმას. დუმის შედგენილობა გაუადვილებს მთავრობას მოქმედების ზრდას; თუმცა სოციალისტებით ძლიერი დუმა, მაგრამ იმისთანა შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქოს გრძნობენ თავიანთ ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებლობას ჯერჯერობით ეტყობა, რომ უკიდურეს მემარცხენეთ სურთ დიდხან შეინარჩუნონ დუმა.—„ბერლინერ-ნახრიხტენი“ აცხადებს, რომ მთავრობის სურვილია დუმასთან ერთათ იმოქმედოს; თუ ოპოზიცია არ—დაადგება აბსოლიუტურ უარყოფის გზას—იმ შემთხვევაში თავს იჩენს უფრო კეთილგანწყობილი პირობები.

**პეტერბურგი.** სინოდმა ობერპროკურორის წინადადების განხილვის შემდეგ, შესახებ „პოჩაევის ლისტოკის“ რედაქტორის მღვდელმონაზონის ილიოდორის გაზეთ „ვეჩეში“ და „პოჩაევის უწყებების“ მოთავსებულ სტატიებისა გამო, სცნო, რომ ეს სტატიები მეტათ სამწუხაროა და არც შეეფერება ეკკლესიის ღირსებას, რომლითაც იწვევს რუს-მცხოვრებლებს სისხლის ღვრისაკენ და არღვევს(?) ეკკლესიის წარმომადგენლობის მშვიდობიანობას, ამგვარ მსჯავრის დადებით, განსაკუთრებით ღრმათ პატივცემულ ლავრის ჟურნალის ფურცლებზე, რომელიც გამოდის სამღვდელო პირთა რედაქტორობით. ამიტომაც სინოდმა დაადგინა მიანდოს მიტროპოლიტ ანტონს, ილიოდორის რედაქტორობიდგან გადაყენება, იქონიოს მსჯელობა მასზე და კანონის მიხედვით გარდასწყვიტოს დამოკიდებულება საეკლესიო მთავრობისა, სალიტერატურო მოქმედებასთან.

**ბერლინი.** „ფოსიშე-ცეიტუნგი“ სტატიაში „სახელმწიფო დუმა“ გოლოვინის სიტყვას უწოდებს კეთილგონიერს და იმედოვნებს, რომ ის არ დარჩება მხოლოთ სიტყვათ. გვითითებს აგრეთვე იმაზე, რომ არც არმია და არც გლეხობა მხარს არ უჭერდა რევოლიუციას და ვიბორგის მანიფესტიც სრულიათ უმიზნო გამოდგა, ამასთანავე ამბობს, რომ დუმამ უნდა ბევრი რამ გამოსტოვოს პირველ დუმის აქტივიდგან, მან უნდა იქონიოს უფრო ფართო გამჭრიახობა სინამდვილესი და ფანტაზიის გარჩევაში და შეუფერდეს აწ არსებულ პირობებს. პირველ დუმას სურდა აებობოქრებინა ხალხის მოძრაობა—ეხლანდელი კი თავის თავზეა დანდობილი; თავისმა საკუთარმა მოქმედებამ უნდა მოუპოვოს მას შესაფერი ადგილი. გოლოვინის სიტყვები მუშაობის შესახებ—დაპირებაა, რომელიც უნდა სიხარულით მიიღოს მთელმა რუსეთმა და უცხოეთმაც. რუსეთის უკანასკნელი მდგომარეობა, უფრო ნაკლებ უიმედოა ვიდრი წინედ.

**ვენა.** გოლოვინის დუმის თავმჯდომარედ არჩევას აქ ხსნიან, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, რომ მემარცხენე პარტიებსაც სურთ მშვიდობიან-კონსტიტუციონური ზრდა-მოქმედება და არა რევოლიუცია. მეორე მხრით სასტიკათ ჰკიცხავენ ზოგიერთ პირთა უტაქტიკობას, რომელნიც წითელ დროშების საშუალებით მოქმედობენ, უგუნურებას იჩენენ და აგდებენ საფრთხეში არა თუ უდანაშაულო ხალხს თვით მთელ მხარესა და კონსტიტუციას.

**პეტერბურგი,** სახელმწიფო დუმა. ს. რ. წინადადებით გადაწყვეტილია შეადგინონ ინფორმაციონული ბიურო ყველა მემარცხენე საპარლამენტო ფრაქციებისა გარდა კადეტებისა.—მისი მიზანი იქნება შეერთებულათ გაეცნონ და გაარჩიონ საკითხები შესახებ აგრარულის კითხვების განსაკუთრებით, და ბიუროს საშუალებით პარლამენტარულ მოქმედებას მისცენ შეერთებული ხასიეთი წინასწარ შეთანხმებით.

მშრომელთა ჯგუფმა და გლეხთა კავშირის დეპუტატებმა შეერთებულ სხდომაზე გადასწყვიტეს შეადგინონ ერთი პარლამენტარული ფრაქცია მშრომელთა ჯგუფის და მთელი რუსეთის გლეხთა კავშირსა, ავტონომიურ ნიადაგზე შეერთებული. ფრაქციის საბჭოში ამოირჩევენ შვიდ „ტრუდოვიკს“ 2 დეპუტატს-წევრებს გლეხთა კავშირისა და სამ-სამ წევრს ორივე ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტიდან.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის დეპუტატის ზომიაკოვის თავმჯდომარეობით მემარჯვენეთა პარლამენტარულ ფრაქციის სხდომაზე განიხილეს საკითხი,—მემარჯვენეთა დამოკიდებულებაზე ამნისტიის შესახებ. უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ მოთხოვნას უნდა დაუჭირონ მხარი რამდენიმე ნაწილში, როგორც მაგალითათ: ბეჭდვითი სიტყვის დამრღვევ დამნაშავეთა შესახებ და იმ რევოლიუციონერთა მოქმედებაში, რომელთაც არ გამოიწვიეს სიკვდილი და საზოგადოთ სისხლის ღვრა.

## თავდასხმა, გაძარცვა, დაჭრა და მკვლელობა

(პეტერბურგის დეპ. სააგ. გადმოცემული).

**სევასტოპოლი.** კომენდანტ ნეპლუიევს ესროლეს ყუმბარა. კომენდანტი ფეხში დაიჭრა.

**მოსკოვი.** დაწვრილებითი ცნობა უნივერსიტეტის ხაზინის დაცემაზე: გამოცხადდენ შეიარაღებული ახალგაზდები, ერთი მათგანი სტუდენტის ფორმით, ორი სტუდენტის ქუდებით. შეიჭრნენ ხაზინაში და არც კი აცალეს კურიერებს და ხალხს გონს მოსვლა, გაისმა ბრძანება „ხელები მაღლა“. ხაზინადარი, ჩინოვნიკები, სტუდენტები და თავისუფალ მსმენელი ქალები სწრაფათ დაემორჩილნენ. მძარცველები უცებ მოყვნენ კასსის დაცარიელებას, ისე რომ არავის არ გაუწევია წინააღმდეგობა. ამ დღეს უნივერსიტეტში იყო 50,000 მან., 30,000 ხაზინის განყოფილებაში გადმოიტანეს კლადოიდან. ერთი წყობა, რომელშიაც 1800 მან. იყო და უფრო ღრმათ იყო მიკუნჭული უჯრაში ვერ წაიღეს. ერთმა მძარცველთაგანმა, რომელიც გარეთ ყარაულობდა, შეამჩნია უბნის ზედამხედველი კროპინი კარიდორში და დაუწყო სროლა. ის სამი ტყვიით უსულოთ დაეცა, ექსივე გადაიმალნენ მეორე კარებიდან. მცარცველებს კარგათ სცოდნიათ შენობის მდებარეობა, რადგანაც ეზო, საითაც მცარცველები გაიქცნენ სავსე იყო სტუდენტებით და მორჩილათ ხელებს მაღლა იწევდენ. გრადონაჩალნიკმა მისწერა რექტორს წერილი, რომლითაც ატყობინებს, რომ, როგორც მის მიერ მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, უნივერსიტეტში ყოველთვის თავს იყრიდნენ რევოლიუციონერები, და რომ უფრო გამოარკვიოს საქმის ვითარება თხოულობს შენობის გეგმას. რექტორმა უარი განაცხადა.

**სევასტოპოლი.** დაწვრილებითი ცნობა ნეპლიუევზე თავდასხმის შესახებ: საღამოს 7 საათზე, კომენდანტი კალიასკით გაემგზავრა უმფროს კომანდირთან სასადილოთ. სასახლის მახლობლათ კალიასკის ქვეშ უკანიდგან შეუგდეს ყუმბარა, გენერალს გაეკაწრა ორივე ფეხი, კალიასკის უკანა მხარე დაიმსხვრა, კუჩერი გადარჩა, შემთხვევით დაიჭრნენ ბავშვიანი დედაკაცი და გოროდოვოი. ნეპლიუევი ხელით შეიყვანეს უმფროს კომანდირის სასახლეში. დღეს უკეთესათ გრძნობს თავს. ეჭვით შეიპყრეს ოთხი კაცი. ექიმებმა ჭრილობა მსუბუქათ ჩასთვალეს. მეორეთ თავდასხმამ ქალაქში უკმაყოფილება გამოიწვია. მსროლელი მიიმალა.

**კამენეც-პოდოლსკი.** უმთავრეს ციხის განყოფილებაში აღმოაჩინეს ხვრელი, რომელიც შედიოდა ცეიხგაუზში. გამოირკვა, რომ კატორჟნიკ ტუსაღებს სდომებიათ გაეტაცნათ იარაღი, ამოეხოცათ დარაჯები და გაქცეულიყვნენ. გამოძიება სწარმოებს.

რედაქტორ-გამომც. მ. კვაჭაძე

სტამბა „საქმე“ მიხაილოვის პრ. № 40.